*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

| ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები<br>რე\|ბანკის მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულება<br>#000000000000 | Significant terms of the agreement<br>Re\|Bank Demand Deposit Agreement<br>#000000000000 |
|---|---|
| თარიღი ----- | Date: |
| **ანაბრის საპროცენტო განაკვეთი**<br>ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული<br>ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი:<br>ანაბრის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი*: --<br>*ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დათვლილია იმ დაშვებით, რომ ყოველი დღის ბოლოს ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 1 000 ლარს/აშშ დოლარს/ევროს. | **Interest rate of the deposit**<br>Type of the Interest rate of the Deposit: Fixed<br>Annual interest rate of the deposit:<br>Annual Effective interest rate of the deposit*:--<br>*Effective interest rate is calculated according to the following example: At the end of each day 1 000 GEL/USD/EUR remains on the deposit account. |
| **ფინანსური ხარჯები**<br>ჩარიცხული თანხის განაღდების საკომისიო:<br>ანგარიში გახსნის საკომისიო: | **Financial expenses**<br>Cash withdrawal fee:<br>Account opening fee: |
| **სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია**<br>ანაბრის პირველადი შენატანის მოცულობა:<br>ანაბრის ვალუტა: | **Other contractual information**<br>Amount of first placement:<br>Currency of the deposit: |
| კლიენტი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და ანაბრის თანხა გაიტანოს სრულად ან ნაწილობრივ. ამასთან, მეანაბრე ვალდებულია, ანაბრის ვადამდე შეწყვეტის, თანხის სრულად ან/და ნაწილობრივ გატანის შესახებ წერილობით (მათ შორის, ელ. ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის მეშვეობით) შეატყობინოს ბანკს შეწყვეტამდე ან/და თანხის ნაწილობრივ ან/და სრულად გატანამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე. | The client is authorized to terminate the agreement prematurely and/or fully or partially withdraw the deposit amount. Furthermore, the depositor must notify the bank on premature termination of the deposit, full and/or partial withdrawal of the amount in writing (also by means of email or internet banking) at least five business days' earlier. |
| თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში. | Your deposit is ensured within the framework of "System of Depository Insurance "as outlined according to the Georgian law concerning the framework of the system of deposit insurance. |



მეანაბრე /„Depositor“ ბანკი / „Bank“

_______________________________ _______________________________

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

| | |
|---|---|
| ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებების შესახებ, ცვლილებებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, გარდა კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, კლიენტის ინფორმირება მოხდება ინტერნეტბანკის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეტყობინების გაგზავნის გზით. ასევე, შესაძლებელია კლიენტის ინფორმირება როგორც წერილობით, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება და ა.შ.). | The bank is authorized, to amend the contractual terms unilaterally, among them the interest rate and any kind of commission. The client shall be informed through internet banking and/or email on amendment of the significant terms of the agreement at least two months prior to making amendments, in case of increase of the cost of the other financial product, other than the changes made in favor of the client – at least one month earlier. Also it is possible to inform the client in writing as well as by means of other technical means (SMS etc.) |
| მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მისამართზე: customercare@pashabank.ge. | The Customer shall have the right to present a claim to the Bank in verbal, written, standardized written or electronic form sent to the Bank's web-site: www.customercare@pashabank.ge. |
| უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!<br>ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს.<br>ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - % | The deposit in the foreign currency puts the Customer under significant risk!<br>Currency rate fluctuation might considerably reduce the interest expressed in GEL.<br>In case of possible 15% annual stabilization of GEL, the effective interest rate of the calculated deposit will make --%. |
| გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2406406. | See information useful for Customers at the web-page of the National Bank of Georgia- www.nbg.gov.ge/cp and the hot line – 032 2406406. |



მეანაბრე /„Depositor“ ბანკი / „Bank“

_______________________________ _______________________________

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

| მაქსი მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულება #0000000000000000 | Maxi Demand Deposit Agreement # 0000000000000000 |
|---|---|
| ქ.-------------- თარიღი: _____________ | ________ date: ___________ |
| **ხელშეკრულების მხარეები:**<br>ერთი მხრივ, **სს „პაშა ბანკი საქართველო“** (ს/ნ 404433671, მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N37მ, 0179, (032)2 222 525, info@rebank.ge)(შემდგომში - „ბანკი“) წარმოდგენილი სახელი/გვარი-ის (პ/ნ -------------) მიერ და მეორე მხრივ, სახელი/გვარი-ის (პ/ნ -------------, იურიდიული მის.:-------------, ფაქტობრივი მის.:-------------, ტელ.: ------------ ელ.ფოსტა: -------------)(შემდგომში - „კლიენტი/მეანაბრე“), **ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:** | **Parties to the agreement:**<br>On the one hand PASHA Bank Georgia JSC (I/N 404433671, Address: I. Chavchavadze Ave. N37m, 0179, (032)2 222 525, info@rebank.ge) (hereinafter the "Bank") represented by name/surname (P/N -----------) and on the other hand name/surname (P/N -----------, legal address: ---------, factual address: ----------, phone number: ---------, e-mail: --------)(hereinafter the "Client/Depositor), are to conclude present agreement on following: |
| **1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>**<br>1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და პირობებით, მეანაბრეს შეუძლია საჭიროების მიხედვით განკარგოს მოთხოვნამდე ანაბარზე განთავსებული თანხა (მანამდე და შემდგომში - „ანაბარი“/“დეპოზიტი“). მეანაბრე უფლებამოსილია, გამოიტანოს ან დაამატოს ანაბარს თანხა. საანაბრე ანგარიშზე განთავსებულ თანხას ერიცხება საპროცენტო სარგებელი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.<br>1.2. ანაბრის გასახსნელად საჭიროა მინიმუმ 10 ლარის / აშშ დოლარის / ევროს განთავსება, ამასთან, ფულადი თანხის შეტანით ანაბარზე ბანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია ანაბარს დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი და იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა. | **1. <u>Subject of the agreement</u>**<br>1.1. Consistent with the present agreement and under its terms, the depositor may, as necessary, dispose the amount placed at the demand deposit. The depositor is entitled to withdraw or add the amount to the deposit. The interest rate shall be accrued to the amount existing at the deposit account consistent with the terms of the present agreement.<br>1.2. For opening the deposit, 10 GEL / USD / Euro shall be deposited, also, By placing the amount at the deposit the bank assumes the ownership right thereto and is bound to accrue the interest rate to the deposit and return the received amount in the same currency. |
| **<u>ანაბრის ძირითადი პირობები:</u>**<br>2.1. ანაბრის ტიპი:<br>2.2. ანაბრის პირველადი შენატანის მოცულობა:<br>2.3. ანაბრის ვალუტა:<br>2.4. ანაბრის საპროცენტო განაკვეთი:<br>2.4.1. წლიური საპროცენტო განაკვეთი:<br>2.4.1[1] საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული<br>2.4.2. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი*: --<br>2.4.3. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:<br>*ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დათვლილია იმ დაშვებით, რომ ყოველი დღის ბოლოს ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 1 000 ლარს/აშშ დოლარს/ევროს.<br>2.5. საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა:<br>2.6. საანაბრე ანგარიშის ნომერი:<br>2.7. ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება ანაბრის თანხა: | **2. <u>Terms of the deposit:</u>**<br>2.1. Type of the deposit:<br>2.2. Initial amount of the deposit:<br>2.3. Currency of the deposit:<br>2.4. Interest rate of the deposit:<br>2.4.1. Annual interest rate:<br>2.4.1[1] Type of the interest rate: Fixed<br>2.4.2. Annual effective interest rate*: --<br>2.4.3. In case of possible 15% annual stabilization of GEL, the calculated effective interest rate of the deposit will be %.<br>*Effective interest rate is calculated according to the following example: At the end of each day 1 000 GEL/USD/EUR remains on the deposit account.<br>2.5. Frequency of receiving the interest:<br>2.6. Account number of the deposit:<br>2.7. Account into which the deposit amount shall be transferred:<br>2.8. Account into which the interest shall be transferred: |



მეანაბრე /„Depositor“ ბანკი / „Bank“

_______________________________ _______________________________

2.8. ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი:

2.9. ანგარიში, რომლიდანაც გადაირიცხება ანაბრის თანხა:

2.10. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, თანხის დამატების და გატანის შესაძლებლობა: დაშვებულია. ამასთან, მეანაბრე ვალდებულია, ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის, ანაბრის სრულად ან ნაწილობრივ გატანის შესახებ წერილობით (მათ შორის, ელ. ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის მეშვეობით) შეატყობინოს ბანკს თანხის გატანამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე;

2.11. ფინანსური ხარჯები:

2.11.1. ჩარიცხული თანხის განაღდების საკომისიო:

2.11.2. ანგარიშის გახსნის საკომისიო:

2.12. ანაბარზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი:

- წინამდებარე ხელშეკრულების 2.4.1 პუნქტში გათვალისწინებული განაკვეთის მიხედვით, 365 დღეზე გაანგარიშებით და ანაბარზე რეალურად არსებული თანხის შესაბამისად.
- საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაიწყება ანაბრის ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი შენატანის განთავსებიდან მეორე დღეს, ხოლო დამატებით განთავსებული თანხების შემთხვევაში - განთავსების მომენტიდან. საპროცენტო სარგებელი დაერიცხება საანგარიშო თვის განმავლობაში ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრე ანგარიშზე დაფიქსირებულ ნაშთს ყოველდღიურად, ხოლო დარიცხული საპროცენტო სარგებლის ასახვა მეანაბრის ანგარიშზე მოხდება ანაბრის ხელშეკრულების 2.5 პუნქტის შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, თუ ანაბრის თანხა გადააჭარბებს 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს/ევროს, გადაჭარბებულ თანხაზე შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა.

2.13. ანაბრის შეწყვეტის პირობები:

ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ანაბრის ხელშეკრულების მოქმედება ან/და დახუროს საანაბრე ანგარიში მეანაბრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის ან/და საანაბრე ანგარიშზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში ნაშთის არარსებობის შემთხვევაში. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.

**3. <u>ხელშეკრულების სხვა პირობები</u>**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაბრის განაცხადს საანაბრე ანგარიშის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მეანაბრე ადასტურებს, რომ:

2.9. The account from which the deposit amount is transferred:

2.10. Premature cancelation, Possibility to deposit and withdraw the funds: Is allowed. However, the Depositor is obliged to inform the Bank in writing (including via e-mail or Internet bank) about the premature cancelation full or partial withdrawal of the deposit at least 5 (five) working days prior to withdrawal of the deposit

2.11. Financial expenses

2.11.1. Cash withdrawal fee:

2.11.2. Account opening fee:

2.12. Terms of interest accrual on the deposit:

- The deposit shall accrue the interest rate according to the interest rate indicated in paragraphs 2.4.1. of the present agreement, on a daily basis, at the rate of 365 days per year and in accordance with the actual amount of deposit.
- Accrual of the interest shall start from the second day after placing the amount at the deposit account indicated in this agreement, in case of additional deposit sums – from the date of their placement. The interest shall be accrued daily during the reporting month to the balances registered at the deposit account at the end of each operation day and the accrued interest shall be reflected in the depositor's account according to the paragraph 2.5 of this agreement.
- If the deposit amount exceeds 1,000,000 (one million) USD/EURO, accrual of the interest amount envisaged by the present agreement to the excessive amount shall stop.

2.13. Terms of termination the deposit:

The Bank is entitled to terminate the deposit agreement at any time and/or close the deposit agreement in case of violation and/or no balance on the deposit account during 1 (one) year period. In case of closing of the account, the Customer shall receive back the amount available at the relevant account.

**<u>3. Other terms of the agreement:</u>**

3.1. The present agreement represents at the same time an application of the depositor on the opening of the deposit account. By signing this agreement the depositor confirms that:



მეანაბრე /„Depositor“ ბანკი / „Bank“

______________________________ ______________________________

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

3.1.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებ-გვერდზე https://rebank.ge/legal?type=general განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულების“ (ძირითადი ხელშეკრულება) განუყოფელ ნაწილს, იცნობს და ეთანხმება მას;

3.1.2. თანახმაა, სს “პაშა ბანკი საქართველომ” კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მისი პერსონალური მონაცემები;

3.1.3. თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება, ან გამოიცემა ნორმატიულ/ინდივიდუალური აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით ან/და მოხდება სხვა სახის ნორმატივების, მოთხოვნების ან ლიმიტების ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო. საპროცენტო განაკვეთის/საკომისიოს ან/და ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, გარდა კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებ(ებ)ამდე არანაკლებ ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – ცვლილებ(ებ)ამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, კლიენტის ინფორმირება მოხდება ინტერნეტბანკის ინტერნეტბანკის, ელ.ფოსტის, წერილობით, SMS-ით ან/და სხვა ტექნიკური საშუალებით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ პირობებს, მეანაბრე უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან ორი ან/და ერთი თვის გასვლამდე ( იმის მიხედვით, ცვლილებები შეეხება ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, თუ სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდას) ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება მეანაბრის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

3.4. ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს მიმართოს ბანკს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით

3.1.1. The present agreement constitutes an integral part of the General Agreement for Rendering Banking Services to Individuals placed at the web-site of the bank https://rebank.ge/legal?type=general which he/she/ knows and agrees with;

3.1.2 Agrees that for the purpose of rendering effective and unhindered services and within the volume necessary to achieve such purpose, in accordance with the rules and regulations established by Georgian legislation JSC “PASHA Bank Georgia” is authorized to receive the Customer’s personal data necessary for the Bank from LEPL Public Services Development Agency;

3.2 If the overall economic situation significantly changes in the country or normative/individual act is released regarding change of credit or currency policy and/or other norms, requirements or limits are changed, which may affect the financial conditions of the bank (other than the exclusions envisaged by the legislation), the bank is authorized to change the contractual terms unilaterally, among them the interest rate and any kind of commission. In case of the change of interest rate/commission and/or other significant terms of the agreement, other than those made in favor of the client, at least two months prior to change(s), in case of increase of the other financial product price – at least one month earlier, the client will be notified by means of the internet banking , e-mail, in written form, by SMS and/or by other means. If the Depositor does not agree to the terms changed by the bank, at any time, prior to the lapse of 2 (two) or 1 (one) month from a notice received (whether the changes are related to the amendment of significant terms or to the increase of price of other financial product) in the way specified in 3.1.3 of this Contract, the Depositor shall have the right to terminate this Contract in compliance with the terms of the present Contract.".

3.3 Unless the Depositor exercises its rights under 3.2 of this Contract, the changes (additions) made by the Bank shall be deemed accepted and the Contract changed in line with the offered terms.

3.4 In case of dissatisfaction by the services of the Bank client may address the Bank with a claim in verbal, written or electronic form, by using internet banking or by Bank’s web-page (www.rebank.ge). To express a verbal claim, the consumer may address the Bank at number - (+995 322) 22 25 25. The standard written form of claim can be submitted at the Bank’s branches. Claims are reviewed in a month by the Customer Experience Management Department. The client shall be promptly notified of the decision regarding the claim, in writing or electronically (in agreement with the client and/or in the method in which the claim was made). Information about the process of the



მეანაბრე /„Depositor“

ბანკი / „Bank“

________________________________ ________________________________

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

| | |
|---|---|
| ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებ-გვერდის (www.rebank.ge) საშუალებით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად კლიენტს შეუძლია ბანკს მიმართოს ნომერზე - (+995 322) 22 25 25. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებში. პრეტენზია განიხილება ერთი თვის ვადაში, მომხმარებელთა გამოცდილების მართვის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისი გადაწყვეტილება კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ, წერილობით ან ელექტრონულად (კლიენტთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად). პრეტენზიის განხილვის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში და/ან დისტანციურად. პრეტენზიასთან დაკავშირებით კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის ელ-ფოსტის მისამართზე: customercare@pashabank.ge.<br>3.5. კლიენტი აცნობიერებს, რომ ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეუძლია გაეცნოს ბანკის ვებ-გვერდზე www.rebank.ge<br>3.6. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ:<br>3.6.1. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.<br>დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.<br>3.7 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, თუ დავის საგნის ჯამური ღირებულება ნაკლებია 8 000 (რვა ათასი) ლარზე ან მეტია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) განსახილველად და გადასაწყვეტად გადაცემა სასამართლოს, სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ხოლო, თუ დავის საგნის ჯამური ღირებულება მეტია 8 000 (რვა ათასი) ლარზე და ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) | claim hearing can be obtained at any branch and/or via remote channels. Communication regarding the claim is exercised at the following email address of the Bank: consumercare@pashabank.ge.<br>3.5 The client is aware that he/she/it may become familiar with the information on product with the same conditions in the national currency at the web page of the bank (www.rebank.ge)<br>3.6 On Deposit insurance:<br>3.6.1 In accordance with the Georgian Law on "Deposit Insurance System", from 1st of January 2022, amounts available at any Deposit/Account of the Depositor, despite the quantity of the Deposits/Accounts, in each of the Commercial Banks are insured and will be reimbursed by the Deposit Insurance Agency within 15 000 GEL. All amounts available at all accounts of all Deposits are automatically insured without additional price.<br>For additional information you can visit the website of LEPL Deposit Insurance Agency at: www.diagency.ge.<br>3.7 Parties hereby agree that any dispute raising out of or in connection with present agreement, if the total value of the subject matter is less than 8 000 (eight thousand) GEL and above 200 000 (two hundred thousand) GEL (consistent with NBG official exchange rate established by the date of submitting the claim) shall be presented to and be solved by court, decision made in favor of the Bank is subject to an immediate enforcement under article 268(11) of Code of Civil Procedure of Georgia, however, if the total value of the subject matter is more than 8 000 (eight thousand) GEL and less than 200 000 (two hundred thousand) GEL (consistent with NBG official exchange rate established by the date of submitting the claim) – dispute shall be delivered to the arbitration for review and final resolution – to the LLC Dispute Resolution Center (ID 204547348).<br>3.8 Terms of the present agreement are effective until the client approves, but no later than close of business hours of the current day (18:00 hr). Furthermore, the communication between the client and the bank shall be made in Georgian, if requested by the client – in English as well.<br>3.9 Relations between the parties are regulated by Georgian legislation, furthermore, NBG is the bank's supervisory authority (address: Georgia Tbilisi, Sanapiro st. N 2, 0114).<br>3.10 See information useful for Customers at the web-page of the National Bank of Georgia- www.nbg.gov.ge/cp and the hot line – 032 2406406.<br>3.11. The present Agreement is drawn up in Georgian and English languages in two copies. Each Party will receive one copy of the Agreement. In case of discrepancy between the texts, Georgian version shall prevail. |



მეანაბრე /„Depositor"

ბანკი / „Bank"

_______________________________ _______________________________

| | |
|---|---|
| - განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს - შპს „დავების განმხილველ ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348).<br>3.8 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები მოქმედია კლიენტის მიერ დადასტურებამდე, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე დღის სამუშაო საათების დასრულებამდე (18:00 საათი). ამასთან, კლიენტსა და ბანკს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში - ინგლისურ ენაზეც.<br>3.9 მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მის.: საქართველო, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.N2, 0114).<br>3.10 გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.<br>3.11 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე 2 იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს. ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტის ქართულენოვან ვერსიას.<br><br>**4. მხარეთა ხელმოწერები**<br><br>მეანაბრე: ____________________<br><br>ბანკი: ____________________ | **4 Signatures of the parties:**<br><br>Depositor: ______________________<br><br>Bank: ______________________ |



მეანაბრე /„Depositor“ ______________________________

ბანკი / „Bank“ ______________________________

რე|ბანკი წარმოადგენს სს „პაშა ბანკი საქართველოს“ ქვებრენდს
**Re|Bank is a sub-brand of PASHA Bank Georgia JSC**